

140
1987 / 2


ISSN 0189 - 5973

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სიბნეული

4
1987




უძველესი ძეგლი

შ ა ნ შ ა შ ა ნ ი ძ ა

სხივნათელი, სიმართლის
მახვილი და საჭრისი,
სიკეთის და სინათლის
სათავე და სანყისი,
აყვავება ბუნების
ცისარტყელას ფერებად,
ბნელის არდაბრუნება,
მტერთა გაცამტვერება,

შეუვალი კედელი,
უმტკიცესი რკინათა,
ძალა გაუტეხელი,
კლდედ რომ ამოიმართა,
ჩაგრულთა, ტვირთმძიმეთა,
ზანგისა თუ ელინის
შუქურა და იმედი —
ბუმბურაზი ლენინი!





გერმანული
ბიბლიოთეკა

პაპა ანდრეის ერთი ხის სკივრი აქვს. ამ სკივრში ბევრი სხედასხა საინტერესო ნივთი აწყვია. შიგ დევს წითელარმული ჩაფხუტი, რომელიც პაპას ახალგაზრდა სამბოთა ქვეყნის მტრებთან გამართულ ბრძოლაში ეხურა თავზე, აქვეა ძველი გამჭვარტული მიწებიც — ჯარისკაცის სუ-

ჩვეულებრივი ხელუხამი

249

ლის საღებნი, და ნაირგვარი საღერგლო იარაღი.

და უცებ ხელდავ, რომ ამ საინტერესო ნივთებს შორის ერთი წყვილი ჩვეულებრივი სოფლური ხელუხამიცაა — უხეში მატყლისაგან საღად ნაქსოვი, თანაც დაქმსილი. რისთვის ინახავს ამათ პაპა?

— მოგვიყვიე და მოგვიყვიეო, — შეუხრდნენ შვილიშვილები მოხუცს. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, დაიყოლიეს და პაპამ თქვა:

— კარგი, ეგრე იყოს, ვიამბობთ, რა ხელუხამიცაა ესენი... ამათი ისტორია უბრალო როდია.

ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლის ზამთარში საგუშაგოზე ვიღღქე სმომინთან, სიღვე პირველი სამბოთა მთავრობა შეუშობდა. ოქტომბრის რევოლუციის ახალდამთავრებული იყო.

საგუშაგოზე ვიღღქე და შაშხანა შიშველი ხელით მეჭირა. მაშინ გუშაგებს არც ხელთამანებე ჰქონდათ, არც ხელუხამები. მიძინე დრო გველდა — ცივი და მშვიდი დრო. ის-ის იყო, ბურუხები დაეახშუთ. ავი თვალით უყურებდნენ ისინი ჩვენს სახალხო ხელისუფლებას.

— ფხიზლად იყავი, ჯარისკაცო, — გამაფრთხილა საგუშაგოს უფროსმა, წარსილადგმა, ომხანინამ ბატროსმა, — ამ სახლში თვით ამხანაგი ლენინი ცხოვრობს. ხომ ხვდები, როგორ უნდა გაუფრთხილდეთ!

ვხვდები, ამა რა! მართალია, ახალგაზრდა ჯარისკაცი კი ვარ, მაგრამ ოქტომბრის ბრძოლაშიც ვმონაწილეობდი, იუნკერებთანაც მომინია. შაშხანის ჩახმახი ფეხზე შევაყენე,

ოთხი თვლი მაქვს გამომბული. დამე კი ცივზე ცივია. შავი ციდან თეთრი ხორხორმულა ცვივა, მსუსხავი, ავი ქარი ქრის, მაზარის კალთებს მაგლეჯს. ხელები მიკანჯალებს.

ყინვამ ამიტანა, ფეხებს ვაბაკუნებ, ზღარბივით ვიბუხები, თითებს ვიორბოლავ, თან თავს ვიმიწნევენ: „მე კიდევ რა მიჭირს, ახლა სახგრებსა და ტრიალ მინდორში ჯარისკაცები რა დღეში არიან!“ ჩემი შობლივითი თბილი ქოხი, მშვიდობიანი ცხოვრება მომეწაღრა.

უცებ ავტობოილმა შემომფრუტუნა, ვეება ელექტრული თვალები მომაშუქა. გვერდზე ვაგხტი, ხიშტი შევმართე.

მანქანიდან ვიღაც კაცი გადმოდის, სამოქალაქო პალტო აცვივა, თვალმომოჭუტული მიყურებს. მიხვდა, მანქანამ რომ შემაშინა, იღიშება და სმოლწში აპირებს შესვლას.

გავგზავნი. მინდა მკაცრად ვკითხო — „ოქვენი სს-საშვი?“ — მაგრამ ტრჩები გაყინული მაქვს და სიტყვების ნაცვლად როდაც ამოვიძისინებ ბრაზიანი ბატივით.

უცნობი მაინც მიხვდა, რომ საშვი მოვთხოვე. ჯერ ერთი ჯიბე მოისინჯა, მეერ მეორე, მესამე. ვერ პოულა. გააფებული ქარი კი გულქს მისი პალტოს კალთებსა და სახელოვანი. ტყულობ, შესცივდა.

მაინც იპოვა. ქალაღდს მიწუღდის, მე კი არ შემიძლია ბექუღისა და ხელმოწერის ხეირიანდ შეთვალთერება.

თითებს ველარ ვშლო, შ.შხანას შეწებებიან.

მაინ ეს შენიშნა და თანაძრობით მეუბნება:

— თქვენ აქ ძალიან გცივათ, ამხანაგო.

საშვი თვალმობთან მომობნა, რათა ბექუღი გამეჩრია. მიჩვენა და კიბის საფეხურები აიარა.

მორჩა და ვთავივდა. ის წვილია, მე კი გუწინა გამიფუქდა: რას ვავაჩერე ეს კაცი ამ ქარაშოტში? თხელი პალტოთი იყო, არც ბათიკებზე ეცვა კალთები...

უცებ ხელდავ: ჩემვენ თვით საგუშაგოს უფროსი მორბის, ჩვენი მებრძოლი მატროსი. მეზღვარული უწინაფროსი ქული ახურავს, ვადახსნილ ბუშლატს მოაფრიალებს, ქამარზე ერთ შხარეს რეკოლვერი ჰჭილია, მეორე შხარეს — ხმალო, ცოტა უკან, წელზე — წყვილი ხელუხამარა.

— ანდრეი ნაიმანოვი, რაო, ძამიკო, ნთლად გაიყინე, ხომ?

— არა უშახსრა, ვითმენ.

— აბა უფროსობას რატომ შესჩივლე?

— არაფრისთანაც არ მიჩივლია...

— შენც მოჰყვები, რაო! მაშ რად დატუქსა ვლადიმერ ილიას ძემ შენი გულსითვის თავისი თანაშემწეებით? უთხრა, ხალხზე ცუდად ზრუნავითო, გუშაგები მორიგეობისას იყინებოიან. ბრძანა, ახლავე ჭუბანჩები იშოვეთო. საგუშაგოში თავისი ჩაიდანამაგზავნა — გუშაგები მორიგეობას რამ დაამთავრებენ, ჩაით შეთბობიან... იქნებ ყავაც მოგეთხოვა ამხანაგი ლენინისაგან! კაი მკვირცხლი ბიჭი ყუფილობარ, ძამიკო, შენ!

— მაშ, ეს თვით ლენინი იყო? — ვეითხვები და საკუთარ ყურებს არ ვუყრებ.

ბიბლიოთეკის
ნაწილობითი
მფლობელია

მარტოს გულიანად გაეცინა:

— აი, უცნაური კაცი — ლენინი
ვერ იცნო! ლენინი შენ, ალბათ, ვი-
ლად დევნებოდა, გოლიათი გეგონა!
...თუმცა, დიანაც, მეფე ჩამოაგდო...
მილიონ ბურჟუას სძლია... სიტუვას
იტყვის და—მთელ მსოფლიოს ესმის!
ოლონდაც — არაჩვეულებრივი ძალის
მქონეა. არადა, უბრალო, ჩვეულებ-
რივი ადამიანია. ჩვენი ამხანაგია, ლე-
ნინია. უფრო მარტივად რომ ვთქვათ —
ილიჩია. აწი იცოდე, ვისაც იცავ:
რევოლუციის ბელადს იცავ! ფიზი-
კლად იყავი, ჭარისკაცო!

ეს მითხრა და საგულშაოში შევი-
და.

ზღურბლზე შემობრუნდა და მხი-
არულად მომაძახა:

— ნახევარ საათში შეგცვლით! მო-
დი და ჩაი დალო!

მარტოსი წვიდა, მე კი დამცხა,
გული თითქო ანთო მკერდში. რა
გენი ეს, რანაირად გვაჩერე ლენი-
ნი ყინვაში, გამელო ქარში?!

არ მასხოსე, როგორ შემცვალეს,
სიცოცხლით როგორ მიმასპინძ-
ლდებოდნენ ლენინის ჩაილინდინ ჩა-
მოსხმული ჩაით მეგობარი ჭარისკა-
ცები. და უცებ მეძახია:

— ანდრეი ნაიმიანოვ, გამოცხადდი
ამხანაგ ულიანოვ-ლენინთან!

აი, კაბინეტი. გუშაგები სულ ჩვე-
ნები არიან, მუშა-წითელკვარდილე-
ბი. ევეთ მიყურებენ — ჭარისკაც-
მა, ალბათ, რაღაც დაშავაო, — ფე-
რობენ.

არ მასხოსე, როგორ შევედი, რო-
გორ წარვუდექი. სამხედრო წესის
თანახმად, ხელი ბოხოხთან მივიტანე.
მარტო იმას ვხედავ, რომ ილიჩს სუ-
ლაც არა აქვს მკაცრი სახე. პირი-
ქით, კეთილ მზერით მათვალერებს.
უჩრიდან სწორედ ამ ხელჯაგებს
იღებს, მიწვდის და მეუბნება:

— აი, გამომართეთ, გეთაყვა. ესე-
ნი ერთმა კეთილმა ქალმა მაჩუქა.
თავად მოუქსოვია.

ხედავ, კარგი ხელჯაგებია, მჭიდ-
როდ ნაქსოვი, თბილი. მარჯვენაზე

ცერი და საჩვენებელი თითი ცალ-
ცალკე მოუქსოვიათ — ასე უფრო
მთხერებულა შაშხანის სასწორებს
გამოკვრა. ჩვენისთანებრისტის — ჭა-
რისკაცებისთვის პირდაპირ მისწრე-
ბაა. თვალი ზედ მრჩება, მაგრამ ვერ
ვართმევ, მრცხვენია.

ლენინი მიხედა.

— არა უშვას, — მეუბნება, — გა-
მომართეთ, გამომართეთ. ეგენი
თქვენ უფრო გეჭირდებოთ. მე კი
ხელთათმენები მაქვს.

და თვითონვე ჩამიღო ეს ხელჯა-
გები ხელში, ისეთი ალერსით, რომ
სულში საოცარი სითბო ჩამიღდა.

მალღობა ეთხარა და მხედრულად
მოგებრუნდა...

პაპა ანდრეი გაჩუქდა, თვალბზე
ხელისგული აიფარა, თითქოს სურ-
და, კიდევ ერთხელ ეხილა ამ შეხ-
ვედრის ნეტარი სურათი.

ამიოხრა და თქვა:

— ხომ დიდი ხნის ამბავია, მაგრამ
გუშინდელით მასხოსეს... დიან, აი,
ასეთი საჩუქარი მივიღე ამხანაგ ლე-
ნინისაგან. გულთიად, ფასდაუღებე-
ლი საჩუქარია.

— ფასდაუღებელია და ვერ კი მო-
გვიღია! — წამოიძახა ნატაშამ და
რატომღაც თავის წითელ ყელსახვევს
შეავლო ხელი. — ორივე ხელჯაგი
დაკემსილია. რანაირად მოგვიღდა,
რომ ლენინის საჩუქარი დავგება, ა,
პაპილო?

— ეს ჭარისკაცური ამბავია, იხე-
ოდა, მე კი ვცემსავდი.

— იქნებ ჯობს, უკეთ შეინახო ისი-
ნი, პაპა? — ტაში შემოკვრა მარიშამ.

პაპა ანდრეის გაეცინა:

— რად უნდა შევიინახო, ბრილიან-
ტები ხომ არ არის? ჩვეულებრივი
ხელჯაგებია. ლენინს ისინი ტყუილ-
უბრალოდ კი არ უჩუქნია, საქმის სა-
სიკეთოდ მომიცა.

— იმისთვის აჩუქა, რომ შაშხანა
ხელში უკეთ სწეროდა და მტრები
ეყოლია! — დაუყვირა ღებს იაშამ.

— სწორედ ასე ვიქცეოდი, — თქვა
პაპა ანდრეიმ და ხელჯაგები ისევ
სკივრში ჩააბრუნა. — მტერს გასა-
ქანს არ ვაძლევდი, ყველა კეთილი
ადამიანისთვის კი საიმედო ფარი ვი-
ყავი.





მარზაზამი... პიონერები — კომკავშირის ძალა

მე-15 საშუალო სკოლა ერთ-ერთ წამყვანად ითვლება ზუგდიდში. აქ აკადემიური მოსწრებაც მაღალია, დისციპლინაც მტკიცე, საზოგადოებრივი საქმიანობაც სათანადო დონეზე და... ვერც კი ჩამოთვლი კსოლის მრავალფეროვანი ცხოვრების ყველა მხარეს. ყველაფერს ასწრებენ მოსწავლეები; ყველაფერს ხაღისითა და



მალქინა იაკობაშვილი

თ. ცაბარელის ფოტო

კომკავშირში



მსკ - სკ - მსკ

სკოლის
კომკავშირის
ბიუროს
წარმომად
ლ. ზარანდიას
და ბითანაას
კომკავშირის
ბილმანის
თაოსაზაც
მსკალოგამ.

ფაიფარის ძარხანაში მისწავლამას
უხალღმასა და ზარანდილომას არ
აკლვას ბამწროლოგი ცირა ზანაშობა.

ნიშნის მიცემისა ერიღებთ ერთმა-
ნეთისთვის და არც მითითებისა. პო-
და, გამოირკვა, რომ დისციპლინის
განმტკიცების ამგვარი ფორმა ყველა-
ზე ქმედითი ყოფილა. აქ სოციალის-
ტური შეჯიბრებაც ძალაში შედის
და... ყველას უნდა პირველი იყოს.

მარტო ამ საქმეში როდი არიან
უფროს-უმცროსები ერთად. როცა
მოსწავლეები რუხის საბჭოთა მეურ-
ნეობა „საქართველოში“ გადიოდნენ
შრომით სემესტრს, იქაური მშრო-
მელები გაკვირვებას ვერ მალავდნენ
— ეს რა ენერგიული მამველი ძალა
გამოგვიჩნდაო, ერთიგ კი არ ურე-
ვია ისეთი, სამუშაოს თავს არი-
ღებდესო. 30-მდე მოსწავლე ჩაის
კრეფით იყო დაკავებული. პიონერე-
ბი ტოლს არ უღებდნენ კომკავშირე-
ლებს და ისინიც თავის მხრივ ცდი-
ლობდნენ კარგი მაგალითი მიეცათ
უმცროსი მეგობრებისათვის, ძალ-
ლონის დაუზოგავად მუშაობდნენ. მათ
შორის იყვნენ ვალერი სუბუა, ნატო
ქორუა, ფრიდონ აქუზარდია, ლა-

ენტუზიაზმით აკეთებენ. და ალბათ
ამაში მნიშვნელოვან როლს ასრუ-
ლებს სკოლის კომკავშირელებისა და
პიონერების ერთსულეონება და შე-
თანხმებულობა. სკოლაში არ არის
უფროს-უმცროსებდ დაყოფა — ყვე-
ლაფერი ერთობლივად, დემოკრატი-
ულად წყდება. ასე იყო, როცა მორი-
გეობის საკითხი გვარდებოდა. სკო-

ლის საერთო კრებაზე გადაწყდა: და-
მოუკიდებლობა გამოეჩინათ საქმეში.
დაიწყეს საკლასო ოთახებისა და კა-
ბინეტების დალაგებით. თითოეულ
ოთახზე მორიგე მოსწავლე აგებს
პასუხს, მალე დამლაგებლები აღარც
კი დაგვჭირდებოა, ამბობენ აქაური
გოგო-ბიჭები. სასადილოშიც თვი-
ონივე ამყარებენ წესრიგს, არც შე-



საბჭოთა კავშირის
კომკავშირის
აქტიური
სამსახური



საბჭოთა
1926
წელიდან

პიონერები

საპ. 33 მკ-ის
ამოწმებლობა



პირილი

1987

შა ნაწყევბია. დიდი სისარულით მი-
ვემგზავრებოლით საბჭოთა მეურნეო-
ბაში სამუშაოდ, - გვიყვება ჯილდა
კალანდია, - სწორედ ასეთ დროს
ხდება ხოლმე მეგობრების ნამდვილი
გაცნობა, ახლა რამდენ ახალსა და
საინტერესოს აღმოაჩენს ხოლმე თა-
ვის თავისთვის თითოეული! რუსში
ჩვენ მარტო კი არ ვშრომობდით,
თავისუფალ დროსაც მზიარულად და
შინაარსიანად ვატარებდით. პლანტა-
ციიდან რომ ვბრუნდებოდით, ვის-
ვენებდით, მერე კი ათასნაირ კონ-
კურს-ვიტორინებსა და საღამოებს
ვატარებდით. იმ ზაფხულის დღეებში
ყველა ჩვენგანი დამოუკიდებლო-
ბა ეჩვენოდა.

შრომითი სემესტრის მონაწილე-
ებს აშკარად ეტყობათ, რომ კმაყო-
ფილებით არიან რუსში გატარებული
დღეებით.

-შრომითმა სემესტრმა გამოავლი-
ნა, ვის რა შეუძლია, - ამბობს სკო-
ლის კომკავშირის კომიტეტის მდი-
ვანი გოგი ნაწყევბია, - და იცით, უნდა
ითქვას, რომ პიონერების შრომა-საქ-
მიანობა ბევრი ჩვენგანისთვის „საწი-
ვენებელიც“ კი იყო. ძალზე მეგობ-
რული ვგოვობები აღმოჩნდნენ,
ყველანაირად ესმარებოდნენ ერთმან-
ეთს. მაიო მიზანსწრაფობობა,
შრომისმოყვარეობა ბევრს შეუბრ-
უნდა. როგორც კი შრომითი სემეს-
ტრი დამთავრდა, გადავწყვიტეთ,
ყველაზე საუკეთესო კომკავშირში
მიგველო. პირველებმა რეკომენდაცი-
ები ლიანა ზარანდიამ და დარეჯან
ჭითანავამ მიიღეს.

გამოდის, რომ სკოლაში კომკავ-
შირის რიგებში მასწავლებლების
მოთხოვნითა და რჩევით კი არ დე-
ბულდობენ, როგორც ხშირად ხდებო-
და ხოლმე, არამედ საერთო კენჭის-
ყრით. ამასთან, არა მარტო წესდებ-
ის პუნქტების ცოდნა მიიღება მსედ-
ველობაში, არამედ კონკრეტული
საქმეები. სწორედ საქმეებით ჩანს
მოსწავლის პიროვნება, მისი მისწ-
რაფიანი, მისი სურვილები. და ნუ
იფიქრებთ, თითქოს კომკავშირში
გვემის მინდევით ღებულობდნენ, -
არა, კომკავშირის რიგებში იღებენ
მხოლოდ იმთა, ვინც დაინსახურა.
ამას კი კლექტორი წყვეტს.

...აი, ასე ცხოვრობენ მე-15 სკო-
ლის მოსწავლეები, ცხოვრობენ ერ-
თი გარდავული წესით - აკეთობენ
ყველაფერი ერთად ისე, რომ არაიონ
იგრძნოს თავი უცხოზე, არაიონ დარ-
ჩეს ვანზე. პიონერებზე კომკავშირის
შეფობაც „ზევიდან“, ხელმძღვანელი
სინამდვილებიდან კი არ სორიცილ-
დება, არამედ საქმიანად, ამხანაგო-
ბისა და ურთიერთდახმარების პრინ-
ციპების შესაბამისად. ასე იყო, რო-
ცა პიონერებმა „მხიარული სტარტე-
ბის“ ჩატარება გადაწყვიტეს; პირ-
ველი რიგში მათ კომკავშირელებს მი-
მართეს დახასმარებულად და ერთობ-
ლივი ძალებით ისეთი ღონისძიება
მოაწყვეს, ისეთი, რომ დღესაც ვე-
ვლას ახსოვს. ხოლო როცა კომკავში-
რელებმა სახალწლო საღამოს გა-
მართვა მოინდომეს, პიონერები და-
ინმარეს, სააქტო დარბაზიც ერთად
მორთეს, მუსიკალური კომპოზიც
ერთად მოამზადეს, ლექსებიც, სიმ-
ღერებიც.

ახლანან კიდევ ერთი ერთობლივი
აქცია ჩატარეს მეთხუთმეტესკო-
ლელმა პიონერებმა და კომკავში-
რელებმა - ჯგუფებად დაიყვინენ და
დაიწყეს რეიდების ჩატარება თავი-
ანთი სკოლის რაიონში ელექტრო-
ენერგიისა და წყლის ეკონომისთ-
ვის. შედიოდნენ ეზოებში, ამოწმე-
დნენ ქუჩებს, აფრთხილებდნენ, ესა-
უბრებოდნენ ადამიანებს შუქისა და
წყლის უაზრო ხარჯვის თაობაზე.
თავიდან მათ წამოწყებას არასერი-
ოზულად მოეკიდნენ - აბა, ბავშვებს
რისი შეცვლა შეუძლიათო, მაგრამ
როცა შესაბამისმა ორგანიზაციებმა
მოსწავლეების მიერ შეგროვილ ფაქ-
ტებზე რეაგირება მოითხოვეს, მათ
საქმიანობას სხვა თვალთ დაუწყეს
ყურება. რეიდები კვლავაც გრძელ-
დება.

მე-15 სკოლის მოსწავლეებს სხვა
კეთილი საქმეებითაც იცნობენ ქა-
ლექში. ახლანან კი აქუარა გოგო-
ბიჭებმა გადაწყვიტეს - ზაფხულში
არა მარტო საბჭოთა მეურნეობაში
იმუშაონ, არამედ თავიანთ შეფე-
ბიანაც - ფაფურის ქარხანაში.

ეჭვი არ კიბა, ისინი აქაც ისინე-
ლებენ თავს.

აშთანდილ მემრედიწილი ხნულში თასლი გალიცვად

ეს ზამთარიც წაივია,
ცივი, მიუკარები
და გაზაფხულს გაუვლეთ
ფანჯრებიც და კარები.
შემოვივია სიბოთი,
ყვავილების სურნელით,
ყველას გამსაბეჭელი
და ყველაზე მზრუნველი.
ხნულში თესლი ვაღვივია,
აგვიმწივანა მთა-ბარი.
გაასწარა სიცოცხლე,
ყველასათვის მთავარი.
ველი ახასხასა,
ტყე კი ააფოფინა
და ნაზამორალ მივადმოს
შვის სხივები მოვფინა.
ეს ზამთარიც წაივია,
ცივი, მიუკარები
და გაზაფხულს გაუვლეთ
ყველამ გულის კარები!

ჩოსმა აუშიარაი ა ბ რ ი ლ ი

მეოფშენიბა მიწან თვალი,
ტანი დამკრა ტორილადა,
ოქროს ტანტზე სადგაოფლოდ
გაზაფხული ადის - თამარ.
შეიქვლეულ მთათა ჩოხებს
ასწევებია ლურჯი ღილი,
მთას აბრილი შემოვარდა
მგლებუმეული მარსილიეთი.
მეუსარბუნ საწოფლენი,
მედალბებუნ სეოებო -
შეოსსულ ცისარტყელებს
სინამდვილეთი ვეოებო.
დაღლილ ფიჭრებს დევახველებს
გელვის მუხლთან ნადე ახლოს,
ბუღტის შუენიეთი სადამიარო
შელის ნაფრენზე დაბაღასოპ.
ცა მშვიდობის ვერცლის თასხებს
ჩვენს მუსარზე აპირქვავეს,
საღსინარო საშოთბურეს
ვარსკვლავები დამოფევავენ.
გაღმა შაშიე ბატხელი,
წყაღამოღმა მთესვლილო,
სიყვარული, სინარული
მთას შემოვადარ მზეს ეროს.

საბუფააღმად, ილიას ნაფუქარზე



საგურამოში მდგარი მშენებერი სამსართულიანი შენობა, რომელიც არაგვის თვალწარმტაც ხეობას გადასცემის, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის გახსნამდე საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის ლიტერატურულ ფონდს ეკავა და აქ მწერალთა დასასვენებელი და შემოქმედებითი სახლი იყო.

წლების მანძილზე სახლმა თანდათან დაკარგა პირვანდელი სახე.

1949 წელს გ. ლეონიძემ, იმ ხანად საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის დირექტორმა, განცხადებით მიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და დახმარება სთხოვა.

1949 წლის 4 აგვისტოდან ილიასეული სახლი და კარ-მიღამო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას გადაეცა მუზეუმის მისაწყობად. იმავე წლის 22 ნოემბერს აკადემიამ გამოსცა სპეციალური ბრძანება, სადაც აღნიშნული იყო: „...დღევანდელ საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის დირექტორს, აკადემიის ნამდვილ წევრს გიორგი ლეონიძეს: ახლავ შეუდგეს საგურამოში ილიას მუზეუმის მოწყობას და ილიასეული მამულის მოვლის საქმეს. საამისოდ შეადგინოს შუატი და ხარჯ-თაღრიცხვა“.

დაიწყო ილიასეული სახლის კაპიტალური რემონტი. გ. ლეონიძემ ლიტერატურული მუზეუმის მდიდარი ფონდებიდან გამოიყო ექსპონატები სავაგონო დარბაზების მისაწყობად. მუზეუმის სავაგონო დარბაზების მხატვრული გაფორმებისათვის საგურამოში სპეციალურად მოიწვია მხატვარი ლადო გუდიაშვილი, რომელიც მაშინვე გულმოდგინედ შეუდგა შრომას. განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავა ბატონმა ლადომ ილიას სამუშაო ოთახის კედლის მოხატულობის აღდგენაზე.

გ. ლეონიძის ხელმძღვანელობით შემოიღობა ეზო და ბაღი, საგურამოსა და მეზობელ სოფლებში შეგროვდა მემორიალური ნივთები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ექსპოზიციოში ჩაერთო, გამოიცა სტაციონარული ექსპოზიციის მეგუბური და სხვ.

1951 წლის 27 მაისი ილია ჭავჭავაძის სახლის ახალი სიკეთესლის დასაწყისით, ამ დღეს საწინიშო ვითარებაში გაიხსნა სახლ-მუზეუმი. ხალხმრავალ მტრინგზე გ. ლეონიძის ხელმძღვანელობით აღნიშნულა, დიდი ილია 44 წლის შემდეგ კვლავ შეგახსლეთ თავის საგურამოს სახლში.

გ. ლეონიძე სისტემატურ ყურადღებას აქცევდა სახლ-მუზეუმის მუშაობას. მისი მზრუნველობით ყოველწლიურად მდიდრდებოდა სავაგონო დარბაზების ექსპოზიცია, აღორძინდა დამხმარე მეურნეობა, გამოიცა მუზეუმის შრომების პირველი წიგნი... ილიას ნაფუქარზე იმართებოდა სამეცნიერო სესიები და საიუბილეო ლიტერატურული დილა-საიაშობები.

სახლ-მუზეუმის დარბაზებში თავმოყრილია და დაცულია ილია ჭავჭავაძისეული ნივთები, ტანსაცმელი, წიგნები, ფოტოები... მთლიანად აღდგენილია ილიას სამუშაო და საწოლი ოთახები. დანარჩენ ოთახებში თემების მიხედვით მასალები ისეა განლაგებული, რომ მნახველს საშუალება ეძლევა, თანამიმდევრულად გაეცნოს დიდი მწერლის მთელ ცხოვრებას, დაწყებული ბავშვობიდან და ყრბობიდან და დამთავრებული მკვლელობითა და დასაფლავების მომენტით.

ილია ჭავჭავაძე დაიბადა ყვარლში 1837 წლის 27 ოქტომბერს (ძველი სტილით). ათ წლამდე სოფელში იზრდებოდა გულგის გოგო-ბიჭებთან ერთად. ილიას მშობლები, მამა — გრიგორი და დედა — მარიამი, იმ დროის კვალობაზე საქაიოდ განათლებული და კარგი აღმზრდელები იყვნენ. სამწუხაროდ, ისინი ადრე გარდაიცვალნენ.

ადრე დაობლებულ ილიასა და მის და-ძმებს დედობრივი მზრუნველობით უძვლიდა მამიდა მკირინე და



ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში

გამდელი, გლეხის ქალი სალომე ლოლაძე, რომელთა სურათები ექსპოზიციაში თვალსაჩინო ადგილზეა მოთავსებული.

რვა წლის ილია გლეხის ბავშვებთან ერთად სწავლობდა სოფლის მთავართან. ეს ფაქტი ასახულია მხატვარ გ. ჩირიანშვილის სურათზე. მთავრის მინათხრობი ამბობს ღრმად ჩარჩა ვულში პატარა ილიას; ერთი მთვანი — მეფე დიმიტრი თავდღებულის ამბავი პოემის დასაწერად გამოიყენა, მეორე — მოთხრობა „გლახის ნაამბობში“.

1848 წელს ილია ჭავჭავაძე თბილისის კერძო პანსიონში შეიყვანეს, სადაც 1851 წლამდე დაჰყო. 1852 წლიდან თბილისის გიმნაზიის მოსწავლეა, რომლის დამთავრების შემდეგ პეტერბურგში მიდის სწავლის გასაგრძელებლად.

მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ, 1857 წლის 15 ოქტომბერს, ილია ჩარიცხეს პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტად.

დარბაზში ყურადღებას ახყრობს უნივერსიტეტის წლებთან დაკავშირებული ექსპონატები.

სტუდენტობის პერიოდში ილია იტალიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ გაიტაცა და ერთხანს ჭუჭუბე გარიანდის არმიამი მოხალისედ წასვლაც კი განიზრახა. გარიანდის სურათი ილიას სამუშაო ოთახს ამწვევებდა მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე.

იტალიელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას ილიამ უძღვნა ლექსი „მესმის, მესმის“ (მუზეუმში გამოფენილია ამ ლექსის ავტოგრაფის ფოტობარბი).

ილიას და ქართველი სტუდენტებისათვის ასეთივე მისაბამი მაგალითი იყო უნგრელი გმირის ლაიოშ კოშუტისა და პოლონელი ხალხის თავისუფლების მომდერ-წლის ადამ მიცევიჩის ცხოვრება და მოღვაწეობა; მუზეუმში ექსპონირებულია მათი ფოტოსურათები და ქართველ მოღვაწეებთან მათი ურთიერთობის ამსახველი ტექსტები.

ამავე დარბაზში წარმოდგენილია ილიას შეხვედრა ეკატერინე ჭავჭავაძესთან პავლოვსკში. იქვეა ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილისა და სხვათა სურათები.

ვიტრინაში ყურადღებას იქცევს ილიას ნაქონი საოჯახო ნივთები.

ილიას სტუდენტობის პერიოდის ამსახველი მასალები მეორე დარბაზშიაც არის. აქ ვეცნობით ილიას მიერ პეტერბურგში დაარსებული ქართველ სტუდენტთა წრის წევრებს, რომლებიც ი. ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით ხშირად იკრიბებოდნენ და „ბაბაობდნენ როგორც საერთო საკითხებზე, ისე დაბეჭადებული სამშობლის მომავალზე“. იქვე ჩაეყარა საფუძველი ქართველ სამოციანულთა, ე. წ. „თერგდალელთა“ იდეურ მოძრაობას.

მესამე დარბაზში წარმოდგენილია თემა „ილია, რომელიც უყრნაღესტი“. აქ შეხვდათ „საქართველოს მოამბის“ თავდურაკლს. ამ უყრნაღესთ, მართალია, მხოლოდ ერთი წელი იარსება, მაგრამ წარუშლელი კვალი დატო-

ვა ქართული პროგრესული აზრის განვითარების ისტორიაში.

1877 წელს ი. ჭავჭავაძემ დააარსა გაზეთი „ივერიის“ რომელიც 1879 წლამდე გამოდიოდა ყოველკვირისა გაზეთის სახით, 1879 წლიდან 1886 წლამდე — ყურნალის სახით, ხოლო 1886 წ. იანვრიდან — ყოველთვიური გაზეთის სახით.

პრესის ამოცანად ილიას ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლა მიანდა. „ყოველ სავანს, ყოველ მოვლენას ცხოვრებისას ყურნალ-გაზეთმა უნდა ჭეროვანი უყრადღება მიაციოს და მისცეს სასტიკს გარჩევას, განმარტებას“, — წერდა ის.

ამ თემასთან დაკავშირებით გამოფენილია გაზეთ „ივერიის“ კლიშე, კალიგრაფიულად შესრულებული მიმართვა ილიასი აკაკისადმი, „ივერიის“ თანამშრომელთა ფოტოსურათები და სხვ.

1864 წელს ილია საკვლავ რეფორმისთან დაკავშირებით გლეხთა და თავად-აზნაურთა ურთიერთობის გასარკვეველ გაიგზავნა ქუთაისის გუბერნატორთან. იმავე წლის ნოემბერში გადავიდა სამუშაოდ დუშეთში, სადაც ჯერ მომრიგებელი შუამავალი და მერე მომრიგებელი მოსამართლე იყო. ექსპოზიციაში წარმოდგენილია დუშეთის საზოგადოებრიობასთან ვადლებული ფოტოსურათები. მემორიალური ნივთებიდან საყურადღებოა ილიას კალიშტაი — დუშეთის პერიოდის, მომრიგებელი მოსამართლის სამკერდე ჯაჭვი, ილიას ნაქონი სოფლის მოსამართლის ნიშანი.

დარბაზში თვალსაჩინო ადგილი უკავია თემას „ილიას დაოჯახება“. 1863 წელს ილია ოჯახს მოეკიდა. მან ცოლად შეირთო საგურამოელი თავადის თადეოზ გურამიშვილის ასული ოლია, რომელიც შემდეგ დიდი მწერლის უფრატელესი მეგობარი და კეთილი დიასახლისი იყო.

ილია ჭავჭავაძე ყოველ წელს იხდიდა სახელწოდების დღეს — ილიაობას, რომელიც ნამდვილი ეროვნული დღესასწაულის ხასიათს იღებდა. იმ დღეს საგურამოში ჩადიდებულ ქართული კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები.

ერთ-ერთი ილიაობა დღეს, კერძოდ 1896 წელს, ქართველი საზოგადოების სახელით, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილბმა, ცხენზე ამხედრებულმა ქართველმა ვაჟკაცებმა წითელი დროშა მორათვეს ერის მოჭირნახულ ილიას. დროშაზე ოქრომკვდილი იყო ამოჭარბული ილიასავე უკვდავი სიტყვები:

აკაც უნდა კაცად იყავს,
სანათლსავით თვით დაიწვას
და სხვას კი ვახს უნათადეს!

ეს დროშა ახლა საგამოფენო დარბაზს ამწვევებს.

ილიას სახლი საგურამოში ქართული სტუმართმოყვარეობის მინიშნულთაგანი კერა იყო, სადაც შორეულ თუ ახლობელ სტუმარს ხვდებოდა კეთილი და პურადი მისპინძელი, რომელთანაც გატარებული ულამაზესი დღეები ტკბილ მოგონებად რჩებოდა ყველას.

ამ ვანყოფინებში ნაჩვენებია, თუ როგორ ესტუმ-



ილიას საგურამო კაბინეტი



ვახოტყვიის ერთ-ერთი კაბინეტი

რწენ ილიას საგურამოში ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ე. მორფილი, პროფესორი ბერტლიონი პარიზიდან, პროფესორი ბოსკო რომიდან და სხვანი. განსაკუთრებით თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ექსპოზიციის ვიზუალურ მწერლის არტურ ლასტის და ინგლისელი მწერლის მარჯორი უორდროპის სტუმრობას.

მეთხუთსეულში ფართოდ არის წარმოდგენილი ილიას სამსახურებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობა.

1875 წლიდან 1905 წლამდე ილია მეთათურობდა ქართულ სათავადაზნაურო ბანკს, რომლის შემოსავლის დიდ ნაწილს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ახმარდა.

1879 წლიდან ი. ჭავჭავაძე მეთათურობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომლის თაოსნობით რამდენიმე სკოლა და ბიბლიოთეკა გაიხსნა. 80-იან წლებში ილიას თაოსნობით განახლდა

ქართული თეატრი, დაარსდა მუღმივმოქმედი დასი და ლაბატული საზოგადოება, რომლის თავმჯდომარედ ილია აირჩიეს.

ღარბაზში მოთავსებულია საინტერესო მასალები თემზე: „ილია — ხალხთა შორის ქმობისა და მეგობრობის მომღერალი“, „ილია და არქეოლოგიური გათხრები“, „ილია, როგორც მთარგმნელი“ და სხვ. იქვე ყუბრულდება იპრობის მემორიალური ნივთები: სკივრი, თუნგი, საწერი მაგიდის მოწყობილობა, ბარათების შესანახი მაგიდა და სხვ.

მეხუთე ღარბაზი იწყება თემით — ილია ჭავჭავაძის მკვლელობა და დასაფლავება. ი. ჭავჭავაძის დასაფლავება საერთო-სახალხო გლოვად გადაიქცა.

ქრუნული ვივლით ტანში, როდესაც დაპყრებთ ტყეის, რომელმაც გული გაუგმირა ქართველი ხალხის საამაყო შვილს. აქვე გამოფენილია სამგლოვიარო პროცესიის ამსახველი მასალები.

1913 წლის 5 მაისს მთაწმინდაზე გაიხსნა ი. ჭავჭავაძის ძეგლი — „მწუხარე საქართველო“. იგი გამოაქანდაკა იაკობ ნიკოლაძემ. გამოფენილია ამ ძეგლის ფოტოები.

ამავე ღარბაზში თვალსაჩინო ადგილი უკავია თემის „ილია ჭავჭავაძე და საბჭოთა თანამედროვეობა“.

დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის — ილიას ფასდებელი ღვაწლი მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში დაფასდა, რამდენჯერმე საზეიმოდ აღინიშნა ილიას იუბილე, გაიხსნა მწერლის სამი მემორიალური მუზეუმი, დიდი ტირაჟით დაისტამბა მისი ნაწარმოებები, დაიდგა ძეგლები, მწერლის სახელი ჰქვია ინსტიტუტს, არაერთ სკოლას, ბიბლიოთეკას, დაწესებულება მისი სახელობის სტიპენდიები და სხვ.

ამავე ღარბაზში მოკლედ, მაგრამ მრავლისმთქმელად არის წარმოდგენილი თემები: „ილია ქართულ საბჭოთა კინოსა და თეატრში“, „ილია ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში“ და სხვ.

ილიას ნაფუძარზე ბევრი რამ არის მოსაგონარი. განსაკუთრებით საყურადღებოა სამსაუკუნოვანი კალის ხე, რომლის ჩრდილშიც უყვარდა დასვენება ილიას; იქვე მის მიერ გაკეთებული ქვის მაგიდები და წყარო, რომელიც მწერლის საგურამოს ქედრიდან გამოუყვანია.

საგურამო ილია ჭავჭავაძის უსაყვარლესი ადგილი იყო. დედაქალაქში შრომით დაქანტული, სამშობლოზე ფიქრით ძილგამართალი მწერალი საგურამოში სულიერად ისვენებდა, აქვე ეძლეოდა მჩქეფარე შემოქმედებით შრომას. აქ დაწერა მან „განდევნილი“, „ბაზალეთის ტბა“, მრავალი საუბრანლო და საგანგებო წერილი. აქვე ხვდებოდა გლეხებს, აძლევდა რჩევა-დარიგებას, მზრუნველობას არ აკლებდა ვაით.

ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმი მნიშვნელოვანი კულტურის კერაა საქართველოში.

შალვა მარტოჯანიძე,

ი. ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ბიჭი ისევ ფეხზე იდგა, რომ თეთრხალათიანმა ქალშემოღმა შემოაღო კარი, სკოლის ლაბორანტმა.

— ია გერმეხაშვილი დირექტორთან!

მასწავლებელმა შეკამათება დააპირა, უნდოდა ეთქვა, რა როს გამოთხებდა, სომ სედავთ, საკონტროლოს წერე პავეჭითო, მაგრამ იმავე წამს ზარი დაირქია.

— მობრძანდი, ამილახვარო, ვთხოვენი, — მერსიდან წამოდგა ის გვერდით მკვდარი ციცი იასანაშვილი და გზა დაუთმო ბიჭს.

მასწავლებელმა იცოდა, თუ რატომ ეძახდნენ ირაკლის ამილახვარს. გერმეხაშვილი დედის ბიძამ — მისი ამილახვარმა ჩამოიყვანა საბალო-ქალაქში და თავისთან შეიკვლდა, ვითომ დროებით, მაგრამ თანდათან ისე შეუკვარდა, რომ ეს მარტოხელა, ომეპაოქილი კაცი უმისოდ აშკარად ვეღარ სძლებდა, მას თვლიდა თავის ერთადერთ მეგობარად და პატრონად.

ის არავისთვის შეუხედვდა, ფეხთარებით წაიდა კარისაკენ. მასწავლებელმა შეაჩერა, რვეულები წამოიმიღო, ანიშნა, ამით იმის თქმა უნდოდა, ნუ გვიზინია, მეც შენთან ვიქნებიო. ბიჭმა რვეულები აიღო და უკან მიჰყვა.

სკოლა უკვე აწრიალებული იყო ისე ჩინჩალაძის მოსვლით. დამლაგებლებს ახლდა ვახსენდათ მიტოვებული ცოცხები და სველი ჩრები, მასწავლებლები გზადგუმა წერტილებდნენ თემბურ გვეძებს, შემინულ კარბათთან ფურდებოდნენ და ტანსაცმელსა და თმის ვარცხნილობას იმოწმებდნენ.

იასე ჩინჩალაძეს ნაკლის გახვიადებდა და განქიქება მოისთვლიდა ჰქონდა ქვეული. ენა უჭრიდა, არც ნიჭიერება აქლდა და რაიმე საკითხზე მსჯელობისას სიტყვების ისეთ კორიანტელს დაჟებდნებდა, რომ მსმენელებს თავბრუს ასხვევდა, იმეფითად თუ ვინმე ვაგებდა შეკამათებოდა. განსაკუთრებით უცხო სიტყვები და ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები უყვარდა.

— რას ვაგე ეს, ამსანაფო კორინთოლო, — ეუბნებოდა სკოლის დირექტორს, — სომ არ დაგვიწყდათ, მოწინაის მუნდირი რომ გაციათ?... სკოლაში მოხდა ასეთი დიფუზური ამბავი, თქვენი კი ზინართ კაბინეტში და არსენიად შეცქერით გარდამავალ დროშებსა და ვიშპელ-სიგელებს...

— რაღო ინებებთ ამის თქმას, პატრონო იასე, — შეეპასუსა დირექტორი.

— იმითომ, ამსანაფო სევერიანე, რომ ჩემთვის სულერთი არ არის, თუ რა ადგილი უკავია ჩვენს სამთამდენო ქალაქს სასაბლო განათლების ერთიანი ფონტის სხვზე, არის იგი მოწინავე პოლიგიაზე თუ შიორე ეშელონში ვადაყენებული.

ნიკო გიგაურმა კაბინეტის კარი შეღო, ბიჭი წინ გაატარა და თვითონაც უკან მიჰყვა, დამსაზურებულ მასწავლებლებს უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნიშანიც უმშვენივლად მკვრდა.

ჩინჩალაძე საწვასმული თვაზინანობით შეეგება ღვანლმოსილ მაოუმატიკოსს, მერე ბიჭს შეხვდა და წარბი შეეკრა.

მურნად „კომუნარის“ ბიჭი გამოცხადებულ კონკურსზე იმდენად მირაზიშვილი „მომსრომოსამომის“ „შაში პრამხალი“ მისანო პრამხალი იქნება.



— კომკავშირელი ხარ?

— ჯერ არა, — მიუგო ბიჭმა და ჯიქურ შეხედა.

— ესე იგი აბრეკ კეთილი და პატროსანი, — თქვა იასემ და დირექტორს მიუბრუნდა: — აი, ამსანაფო სევერიანე, თქვენი სასკოლო ცხოვრების კიდევ ერთი დეტალი, — კომკავშირელი არ არის, პირინი არ არის, მაშ ვინ არის ეს ახალგაზრდა, ძალიან ვთხოვთ, გამიგოთ. რამდენჯერ გითხარით, ყველა მერვეკლასელმა, ვინც ჯერ არ მითლიათ კომკავშირში, პირინული ყველასხვევი უნდა აბრეკოს, რატომ არ ასრულებთ ამ მითითებას?... იმითომ, რომ არც თქვენ და არც ეს ემაწვილი სათანადოდ არ აფხვებთ სკოლის ღირსებას.

— როგორ გვაადრებათ, პატრონო იასე, შეგიტყვა გიგაური, — სევერიანე ჩემი ვაზრდობი და ჩემი ვაფილ მოსწავლეთა შორის საუკეთესოთა რიცხვში შეგულდას, ამას კი ახლა გვემათ და ძალიან ემაწვილი ვარ მისით. სწავლის გარდა, სპორტშიც ისწავლა თქვენი ქალაქის სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა...

— მოითმინეთ, მოითმინეთ, პატრონო სოლო, — თქვა ბიჭი, რატომ აწყვია აქ ეს ორი რვეულა, — თორემ კმაყოფილი აღარ დარჩებოდით მისი მსჯელობით. — იასემ ცალ-ცალკე დააწყო შავიდასა ორი რვეული, რომელთა გარკვეულ ფრაგმენტულ ფრაზებს განსაკუთრებით იყო საკონტროლო მასწავლებლისათვის და ეკუთვნოდა მერვე „ა“ კლასის მოსწავლეს ირაკლი გერმეხაშვილს.

სანამ იასე ჩინჩალაძე აუხსნიდა ოცდების მასწავლებლებს, თუ რატომ იქცა ეს რვეულა მსჯელობის საგნად, ირაკლი უკვე იცოდა.

— ...თუნდაც ის ამბავი, რომ ვიღაცა თავბრუი იდგას სამასწავლებლოდან საკონტროლო რვეულებს და ბიჭს კონკრეტში და განათლების განყოფილებაში აგვიკვლით იმაზე მტყვევლებს, რომ ამ სკოლაში სრული განუკითხაობის ატმოსფერო სუფევს, — ცხარობდა სასკოლო ინსპექტორი. — ამა ახლა წრილის მოფუხინით, რაინ გეწერს ეს ვიღაცა... — ჩინჩალაძემ საბავლე მოიკრიჭა: „წრანულის მასწავლებელი ცისია მუსრანული ადრეც იყო შემწეული მოსწავლეთა არასწორად შეფასებაში, როგორც სასწავლო დისციპლინებში, ასევე ყოფაქცევაში ნიშნის გამოყვანის დროს, სოლო მოსწავლე გერმეხაშვილის მიმართ აშკარა მიკერძოებას იჩენს. ამ ერთი თვის წინათ ამ მოსწავლეს ჩამოაკითხეს ნათესავებმა. ბიჭმა ავადმუხლად მოისენია ისინი მასწავლებლის თანდამხმარებელი და არ ისულა მათთან შესვლად. ესეც არ აკმაბრა შურეაბუნყოფილ ნათესავეებს, სკოლის ეზოს

გარეთ დატოვებულ მათ მსუბუქ მანქანში შეიპარა და მუსრუკებიდან აუშვა. დაგორებული მანქანა ქვის ყორეს შეემსხვრა. იმის მაგიერ, რომ სულციერმა საქციელი-სათვის პასუხი ეგვინიბინათ, მასწავლებელმა სელი და-აფარა დამნაშავეს, თქვა, რომ იმ დროს, როცა მანქანა დაგორდა, ირაკლი გერმესაშვილი ფრანგულის კლას-კა-ბინეტში ჰყავდა გამოკეტილი და წერაში ამეცადინებდა. მიკერძოების მეორე საბუთი კი ეს რვეულებია. პირველ-ში თქვენ ნახავთ წითელი მელნით აჭრელებულ შეცდო-მებთან ნაწერებს, მეორეში კი საიდანღაც უშეცდომოდ გადაწერილ და უმაღლესი ნიშნით შეფასებულ ნაბუშე-რებს. გასოვთ მიიღოთ ზომები! — ინსპექტორმა რვე-ულები გადაფურცლა. — აი, სედავთ, ეს რვეული განგებ არის წითელი მელნით დასვრილი, რომ მისი შეცვლა ახლათ ამათ მაინც იყოს გამართლებული...

— ეგ მელანი კი არა... სისხლია! — ბიჭმა ძლივს გას-სნა კრიჭა.

— რომელი სისხლი?... აქ სისხლს რა უნდა?! — დაეჭ-ვდა ჩინჩალაძე.

— ჩემი სისხლია, — მშვიდად მიუგო ბიჭმა. — წინა დღით სპორტული იარაღიდან მოვწყვიდე ვარჯიშის დროს და თითი დამიზიანდა, ბანდით მქონდა შესვლელი და წერის დროს უეცრად წაისკდა.

— შერე, შერე, განაგრძე, რატომ განერდი?

— შერე მასწავლებელს ვანახე და მეორედ დამაწე-რინა იმავე გაკვეთილის შემდეგ... ფრანგული ბოლო გვექონდა... წინა ნაწერი რა შეცდომებითაც მქონდა შეს-რულებული, ისევე გადავიტანე, შალვა მეორე არასიდანაც არ გადამიწერია, როგორც საკონტროლოს წესია, ისე შევახსრულე.

— კარგი, წადი, ოღონდ უყვლსანვევოდ აღარ გნასო, — მხსრუხ სელი მოსვია სკოლის დირექტორმა.


დირექტორის კაბინეტში საუბარი კი ამათ არ დამ-თავრებულა, ახლა ცისია მუსრანელს დაუძახეს, რომე-ლიც სულ მაღე ადელევებული და აცერმლებული გა-მოვიდა სამასწავლებლოში.

კოლმეგრელების თავნობანი, გოლა ფარენსიავან ფიჩინის ღობით გამიჯრულ საბატკნესთან იდგა და ხმა-მალა ითვლიდა. დოლი რასხანია დაიწყო და ბატკნეის რიცხვი დღითი-დღე ბატკნობდა.

— ყმაშავი, წითელდრუნჯა, ყომბრალაი, ნარიწვია, — თანამეღვერებით იკეცავდა თითებს გოლა და თან აბუ-რინანის ველეებზე გაშლილ ფარას გაჰყურებდა, საიდანაც კიდევ მოულოდა კრავებს.

გოლა ოცნებაში ბატკნებს უკვე ფენსომავრებულებს, მთის საძოვრებზე ლაღად მოკუნტრუშეებს სედავდა. ძნე-ლი იყო წინასწარ ეთქვა თავნობანს, რომლისგან რა დადგებოდა, — თვალუბრბრალა ყოჩი, ნახმატყლიანი დედაცხვარი თუ ჯანდავი, ბერწი, მატყლგვეცენილი მხო-ვრი. ჯერ დროს უნდა ეთქვა თავისი სიტყვა, ზრმა შემ-თხვევასაც თავისი წილი ედო ბატკნების ფარაში, მგელ-საც და ავაზასიც.

საკერემლო მამალ ბატკნებს კი მაინც აქედანვე არ-



ჩევდა გამოცდილი მეცხვარის თვალი; ჯიშთან სადედე-ებსაც; მათ უნდა მიეცათ ფარებისათვის შწო და პარაქა. ერთხანს ასე უფურა გოლამ მყუდრო ბაკში გაზაფხუ-ლის მშით გამოთბარ, ერთმანეთს მიხუტებულ სუჭუჭა კრავებს, შერე ქვაპარლის კვინტი დაიდო სელისეულ-ზე, ბაკში შევიდა და ადრეულ ბატკნებს მარლის გემო გაასინჯა.

გოლას ჯიბით კანფეტი არასოდეს უტარებია. თი-თონ არავინ ჰყავდა, ერთი უშვილობირო კაცი იყო და, მართალია, წითელ გორაზე, სადაც გოლა ცხოვრობდა, შარავში მიმავალი კაცი ფხსს ვერ აუქცევდა ბაშეებს, მას შორიდან თუ შეუსუდავს ბალღებისათვის გულლია, იქნებ ალერსითაც, მაგრამ აზრად არასოდეს მოსვლია, მათთვის ჯიბით კანფეტი ეტარებინა. ქვაპარლის კვინ-ტეტი კი დაჰკონდა.

— მოდი, პატარავ, მოდი, აქედანვე გაუსინჯე ცხოვ-რებას გემო, ყოველთვის დედის რძე არ გვექნება, ამ ქვაპარლზე უნდა აიღუყო ენა და კბილი, რომ შერე შეავე ბალხანა ან ძირმწარამ არ მოგკვეთოს, — ეუნებ-ნობდა ყმაშავ ბატკანს, — შენგან აუცილებლად დადგება ერკემალი. შენც მოდი, ცუცი, შენგანვე კარგი დედა დადგება. შენ ისეთი ჭკვიანი თვალები გაქვს, რომ კლდეზე არ გადავარდები, არც ისეთ ბალხანს მოს-ძოვ, რომ მისგან მიღებულმა რძემ შენს ბატკანს აწყე-ნოს, — გოლა ალერსით შეჰყურებდა თეთროვლად ნაზ-მატყლიან სადედეს.

აშურინის ველეებზე მზე მატკნობდა, ცხვარი იპარ-სებოდა.

თავნობანი მწყემსებს ყველა საჭირო საენით აპარ-გებდა, ფარას ამზადებდა და მალღობთან საძოვრებზე გადასარეგ ვაზა-ბილიკებს ზეურავდა.



— ამილხვარო, რა უნდა გვახარო? — ყველაზე უწინ დომინიკა შემოეგება ღირვეტორის კაბინეტიდან ღებრუნებულ ირაკლის.

სხვა მოსწავლეებიც მოვიდნენ და გარს შემოეჯარნენ. მხოლოდ ბადრი კალმახელიძე არ დაძრწოდა ადგილიდან, ცარცით ხელში დაფასთან იდგა და იქიდან უსმენდა, რას იტყვისო. და კიდევ ციფო იასამანოვა იჯდა მერსზე და გამალბებით წერდა რაღაცას.

— ჩვენს შორის... უფრო სწორად, თქვენს შორის არის აღამიანი, ვინც უსახელო წერილებს ჯღაბნის, — თქვა ბიჭმა და დაეჭვებით ყველას სათითაოდ შეხედა, ყველას, დომინიკას გარდა.

— რა იცი, რომ აქედან არის? — დომინიკა წერით დადლილ გრძელ თითებს იფხმებტდა და ყურადღებით ათვალიერებდა თანაკლასელებს, მერე ირაკლის შესციონა და თანგრძნობა გამოჰურია სმამი: — არ გვეტყვი, რა მოსდა?

— სხვებმა ჩემზე უკეთ იციან, — სელი ჩაიქინა ბიჭმა და თავისი მერსისაკენ წაივიდა.

ციცოსთვის ზედ არ შეუხდავს, წიგნები ჩაინათში ჩაალბა, მხარზე მოიკიდა და აჩქარებული ნაბიჯით კლასიდან გავიდა.

ყველა სასტადო დარჩა. დომინიკამ ჯერ იფიქრა, გავეკიდებო და გვაში ვკითხვა, რა დებამართაო, მაგრამ იქვე მიხვდა, რომ კლასის ორგანიზატორს არ ეკადრებოდა გაქვეყლის გამოკიდება, ისევე არჩია, კლასის სელმძღვანელისაგან გაეგო, კიდევ რა შეემთხვა ამ დაუდუგარ ბიჭს.

— თბილისიდან გამოჰყვა კუდები და იმაზე იბარებენ ასე მალ-მალე, — ჩაილაპარაკა ბადრი კალმახელი-

ძემ. — ამასწინათაც სომ დიბარეს. მაშინაც ამბობდეს, სხვისი დანაშაულის გამო მე მაგებინეს პასუსო.

— მაშინ ცისია მასწავლებელმა გადაარჩინა, — მხარის დაუჭირა განუყრელ მეგობარს როინ დარჩინამ, წითურთმიანმა, ჳორღლით სახედაწინწყლულმა ბიჭმა, — ვე რომ არა, გასკვენავენდენ ამ თქვენს ამილხვარს და მიაბრახანებდნენ ძნელად აღსაზრდელთა სკოლაში.

— არაფერიც, — მერსიდან წამოდგა ციფო იასამანოვა, — მთავარი დამნაშავე გვერდით ვიდგას. იმ ამბავში ია მთლად აღაღმართალი იყო.

ამწუთის ბადრის გვერდით ორი ბიჭი იდგა, როინ დარჩია და ჳაქიეთი შავი, ჩაჯგრკული და ბრტყელთავი ტრისტიან დვალა, ანუ ტიტო, გოგოები კი საზგასმულად ტიტოს უქანდნენ — ჩამატეულ სორისმიერ გუგრას სიტლანქის ულფური შეპქონდა ამ მოუქნელი ბიჭის სახელში და რამდენადმე შეესატყვისებოდა კიდევ მის გარეენობას.

როინი დაიბნა, ვერ მისვდა, ვისზე გადაუკრეს სიტყვა, ბადრიზე თუ ტიტოზე.

— მე იმიტომ ავიდე ის დანაშაული ჩემ თავზე, რომ ცისია მასწავლებელი გადამერჩინა. ის სომ სულ ტყუილად გამოეკეობება ამილხვარს, — ტყუანით ამბობდა ტიტო.

— ამილხვარს, ანუ ნამდვილ დამნაშავეს, — დააშუსტა კალმახელიძემ.

ყველამ დომინიკა დვალს შეხედა, რას იტყვისო. ის კი არ ჩქაროდა, მშვიდად უსმენდა ამხანაგების ლაპარაკს და საკუთარ თავთან ჳებოდა. მან კარგად იცოდა, რომ უწინაგესა ორგანიზატორს მოუთხოვებოდა პასუხი ყოველივე იმაზე, რაც კლასში ხდებოდა. მას შემდეგ კი, რაც გერმესაშვილი ამ სკოლაში მოვიდა, ვითარება ისე დაიბნა, რომ ძწელი ვასარჩევი იყო, ვინ ვისთან ტყუოდა, ვინ წამოიწყო ეს ფარული ქიშიო, მეტოქეობა პირველი მოსწავლის სახელისათვის.

ბადრი კალმახელიძეს ბათოს ექანდნენ. ბათო ყაენს თუ თორმეტი ნოინი ჳყავდა, მისი მოსახყელ მხოლოდ ორს სჯერდებოდა. სამაგიეროდ, ეს ორივე ბოლომდე თადადღებული იყო მისთვის. როინ დარჩიას თავის ჳორფლიან ხელეუბნი მაგრად ჳქონდა ჩამბრეული ბადრის სულის კრიტის გასადებში, ყოველ მის სურვილსა თუ განზრახვას უთქმელად გრძნობდა და არაყველებრივი ოსტებობით მოჳყავდა სინრულეში. კატისთავალებმა, მოქნილი, გამბედავი — ყოველთვის უსმობ და ფართულად მოქმეობდა.

ბრტყელთავ ტიტოს — ტლანქი ძალის ბატრონს — უფრო ბრმა იარაღად იყენებდნენ.

ბადრი კალმახელიძე გარეგნულად სულაც არ ჩემულბოდა ლიდერის როლს, ურთიერთობებში ყველასთან თანბრად ეჭირა თაუი. ლიად, საჯაროდ არასოდეს გამოთქვამდა თავის აზრს, მხოლოდ სიტყვას თუ გადაუჭრავდა ან თვალით მიანიშნებდა თავის თანაზრახველებს, თუ რა მისწონდა და რას იწუნებდა, ან — რის გაკეთებას ისურვებდა. ყველაფერი ჳუსტად ისე კეთდებოდა, როგორც ის ჩაიფიქრებდა.

ამ ერთგულების სამხაგიეროდ ბადრი ყურადღებას არ აკლბდა მეგობრებს, ესმარებოდა დაგალებების შესრულებაში, გაცეკობილზეც თვლი ეჭვითა მათზე, ხან სიტყვას წამაწვავდა, ხან შპარგაკას. რომინ დიუყვედრებულ „ოთხნაინასა“ და „სუთებს“ დემულოზდა თითქმის ყველა საგანში, ტიტო კი გამართულ „სამიანებზე“ ასწრებდა. მათ ურთიერთობას ლიდერთან ვინიერების ბეჭედი ესვა და ეს ყველაფერი ბადრი კალმასელიძისაგან მოდიოდა.

სწორედ ასეთი დიპლომატიის წყალობით მოიპოვა მან საერთო პატივისცემა, მოსწავლეებს უყვარდათ, მასწავლელებს მისი სახელი ეკერათ პირზე. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ფეი პირველ მოსწავლედ ითვლებოდა მთელი კალმასელი, რომელიც, თავის მხრივ, საუკეთესო იყო მთელ სკოლაში.

წელს კლასის ოთხი საწორად დაიწყო. დავალი რომ აირჩიეს უნდა, არ უნდა, შეადგოთა ბადრი კალმასელიც — რესპუბლიკის მხრივ/რომ არ ეთსრება, ეთსრება დაწყო ცეკრა. თანაშის სკოლისდაწვლელ ცისია მუსკატიც.

მასწავლებელმა თითქმის იტყინო მისი სკოლის მოძრაობა.

მან მომავალ შეწვიერად მუსკატიც, ამიტომ არ მინდა სწორიგანაგებო საშუაებით დაწვრობო, უთსრა-სწორიგანაგებო და თაქვე სელი ვადაუსვა.

ბადრი კალმასელი მასწავლებელს, რადგან შეუტყო, რომ მას კვლავინდებურად პატივს სცემდნენ, რწევას ეკითხებოდნენ და დასმარებას სთხოვდნენ მოსწავლეები. დაშვიდდა, მაგრამ თავი როდი დაიარსენია, იცოდა, რომ ბრძოლა პირველობისათვის კვლავ გრძელდებოდა. ღომინიკას გარდა თანდათან ვაქუნას იტენდა ქალდე თარსნიშვილი, წყნარი, უკარება და ამასთან ძალიან ნაკითხი ვაგო. განსაკუთრებით ძლიერი იყო ქალდე ფრანგულში, რუსულში, მუსიკაში და მღეროდა კიდევ.

ღლორს, იგივე ღომინიკა დევალს, მომსილია, ჰკვიან ვაგოს პირდაპირობით, ვაგოს სიკეთით, არაწველებურივი ენერგიითა და გამებელობით ჰქონდა მოპოვებული თანატოლთა სიყვარული და ამიტომ იყო, რომ მასთან ურთიერთობის გამწვავება ყველა ერთდებოდა.

სულ სხვა იყო შევავრებანი, ღმანზოვლებმა ქალდე თარსნიშვილი. სწორნაკეთებიანი სპილოსძვლისფერი სახე, გულვე მსრებამდე დაყრილი მეჭებლისფერი თმის ჩქერებით. მისი მედიდური გამოსვლება მოწიწებას უნერავდა ყველას.

მსოლოდ ერთი ახლობელი ჰყავდა ქალდე — მხანა ვით ბუწინიკი და ტანკინიანი ნანსი ანდრონიკაშვილი, ვედამ ფაქიზად დაბარსენილი, ორად ვადაყოფილი ფერფლისფერი თმით, ფერმისნილ სახეზე ფილილოზმად აყვავებული იაფური თვალებით.

ჰყავდა იმ ორ ბუწინიკს ერთი საჭურველმეტყერთველი, მათ ჩინო მთხარე, მათ პალტოებს რომ დათბიერება და პატრონობდა — ბუნო კენჭავა, სახეობიპოვინიანი, ქერათმინი დიდთავა ბიჭი. ამ სამსახურისათვის მჭარი ჯა-

მაგირი ჰქონდა ბუნს — ვაგონები ყოველთვის ვადაწერიხებდნენ სოლმე საშინაო დავალებას.

კლასში ამ სამთა შორის განაწილებულია გველენის სფეროები რამდენადმე მუდმივ საზღვრებს. ინარჩუნებდა იქამდე, სანამ ორავლი ვერმესაშვილი, იგივე იმდასვარი გამომწვდობდა. მისი მოსვლის შემდეგ დაიწყო ამ სფეროების გადაწაწილება. თავისთავად მოხდა ეს, თუ ვინმე განზრახ გამოიწყო, მწელი სათქმელია, მაგრამ ბევრი უსამოვრება კი მოჰყვა კლასისთვისაც, სკოლისთვისაც.

ღღეს კი მორიგი უსამოვრება დაიწყო და რითი დამთავრდებოდა, ჯერ არავინ იცოდა.

— ღლორ, თქვი რამე, რას ვაგუმებულსარ, — შეასენსა ღომინიკას ცილო ისანაწილად, რომელსაც ყველასგან დამოუკიდებლად ვჭირა თავი.

ეს ტანსხელი, სუსტი აღნაგობის ვაგო დიდი ცოდნით თავს ვერ გამოივლება, მაგრამ იმდენი კი შეეძლო, საბოლოოდ არავის მისდგომოდა კარზე, საკუთარი ძალებით ვაერთიმა თავი ყველა სიმწელინათვის. ურთიერთობებში უდრო ბიჭებთან იყო ახლოს, მოაქვევებოდა დამტევი შხამიც — ვაკილეისა და ვაჭურვის ოსტატი იყო.

— მაინც რა გაინტერესებს? — შეაგება ღომინიკამ უწინარი კილოთი.

— მინდა ვიცოდებ და აღბათ სხვებიც ჩემს მდგომარეობაში არიან, — ცილომ ბიჭებს ვადასვდა, — რატომ სდებთ, რომ მთელ სკოლაში თითოთი საწვევებელი კლასის მოსწავლეს ერომანეთთან მეგობრობა ვერ დაღვიყარებია, როდის აქეთ ჩამოვარდა ჩვენ შორის ასეთი უნდობლობა.

— ყველაფერი ამილასვარს მოჰყვა, მსუბუცი, მუნუმემლობაზე, ვიბრიცა და საჩივრების წერაც, — თქვა ტიტოც და გამოწვევად ვაიარა დაფის წინ.

ვაგონებმა რატომღაც ბადრის შესხედეს, მაგრამ ვერ ამოივრება, მოეწინა თუ არა მას თავისი ძმაკაცის ასეთი გამოსვლება. მშვედად იდგა კალმასელიც, მის მრგვალ სახეზე ერთი მარღივც არ ბეკეკებულა.

— ვეთანხმებით, რომ ბევრი უსამოვრება ვერმესაშვილის მოსვლის შემდეგ მოხდა კლასში, მაგრამ საკითხავია, ვინ იყო ამის ინიციატორი? ყველამ თქვენს გულში ჩაისხედო, ვიდრე მიმასწავლდეთ, — ცილომ ნიკაზე შემოიღო ხელი და სიფრისთან ჰქვედა ტუჩის გასწვრივ გაიმწკრივა ვარდისფერი ფრჩხილები.

კრინტე არავის დაუძრავს.

სწორედ ამ დროს ანახლად დაიჭრილა ანჯამამ და კარის ღიოში ფრანგულის მასწავლებელი ცისია მუსრანელი ჩადა.

სახაფხულო სამოვრებზე კელიავი ჰყავოდა. მშით გამთბარ იალალებზე ფარას გამოყოფილი, დედა ცხვრები-სავან დაჩრეული ბატკნები პალაზობდნენ. იქვე ახლოს, წყლიან სეობაში კი, საგულდაგულად შერჩეულ აფიგულზე მყუეწმებს ფარის ავეთ მათთვის. დღისით ნაიალაბარ ბატკნებს ღამე აქ ეძინათ, მათ მუდროებას

